საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01- 08/590

ქ. ბათუმი 26 აგვისტო, 2022წ

„ბსუ-ში 2022 წლის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის გამარჯვებული სტუდენტებისათვის წახალისების ღონისძიების გამოყენების (ფულადი ჯილდოს გაცემის) შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 24 აგვისტოს N01-08/589 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-56-ე, 59-ე მუხლების, ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2022 წლის 26 აგვისტოს MES 7 22 0000948656 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ბსუ-ში 2022 წლის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის გამარჯვებული სტუდენტებისათვის წახალისების ღონისძიების გამოყენების (ფულადი ჯილდოს გაცემის) შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის **24 აგვისტოს N01-08/589** ბრძანების **დანართ №1-ში** გასწორდეს დაშვებული ტექნიკური ხარვეზები, კერძოდ:

ა) ,,ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ,,ფსიქოლოგიის სექციაში“ III ადგილზე გასული გამარჯვებული ნაშრომის ავტორის მარიამ მახარაძის შესახებ ჩანაწერის შემდეგ ამოღებული იქნეს იგივე შინაარსის მომდევნო აბზაცი;

ბ) ,,ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ,,მენეჯმენტის და მარკეტინგის სექციაში“ III ადგილზე გასულ, გამარჯვებულ კანდიდატთან ნინი შამილიშვილთან ერთად ჩაიწეროს ნაშრომის თანაავტორი, ბსუ-ს სტუდენტი მანანა მამულაძე) და შესაბამისი გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„III ადგილი

ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები, გამარჯვებული **ნაშრომის თანაავტორები: ნინი შამილიშვილი** (პ/ნ) **და მანანა მამულაძე** ( ) - 65 ლარი (თითოეულს 32.5 ლარი);“

2. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, შესაბამის ფაკულტეტს და სტუდენტებს: ნინი შამილიშვილს და მანანა მამულაძეს, ასევე განთავსდეს მათ პირად საქმეებში.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**